

სამოქალაქო განათლების ოლიმპიადა

II ტურის ტესტურ დავალებათა ნიმუშები

ნიმუში 1.

რა ეწოდება პროცესს, რომლის დროსაც რელიგიური აზროვნება, პრაქტიკა და ორგანიზაციები კარგავს სოციალურ გავლენასა და მნიშვნელობას?

- ა. გლობალიზაცია
- ბ. კლერიკალიზაცია
- გ. სეკულარიზაცია
- დ. დემოკრატია

ნიმუში 2.

ახალი ზელანდიის ხელისუფლებამ ქვეყნის ტერიტორიიდან არალეგალი ებრაელი ახალგაზრდების _____ დაიწყო, რომლებიც უკანონოდ მუშაობდნენ სხვადასხვა დაწესებულებებსა თუ ორგანიზაციებში.

- ა. დეპორტაცია
- ბ. ემანსიპაცია
- გ. დევალვაცია
- დ. მობილიზაცია

ნომერი 3.

I ბლოკი	II ბლოკი
<p>ა. სოციალიზმი ბ. ლიბერალიზმი გ. ნაციონალიზმი</p>	<p>1. პოლიტიკური პრინციპი, რომელიც პოლიტიკურის და ნაციონალურის ერთ მთლიანობას ამტკიცებს. ეს პოლიტიკური იდეალია, რომლის მიხედვითაც სახელმწიფოებრიობა თითოეული ერის პოლიტიკური ორგანიზაციის ოპტიმალური ფორმაა.</p> <p>2. პოლიტიკური ფილოსოფია, რომელიც პრიორიტეტს ინდივიდთა პირადი უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველყოფას, მმართველობის დემოკრატიულ ფორმებსა და პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ინსტიტუტების თანმიმდევრულ რეფორმებს ანიჭებს.</p> <p>3. იდეოლოგია, რომელიც ითვალისწინებს სოციალური თანასწორობის პრინციპებზე დამყარებული საზოგადოების მშენებლობას; ასევე საზოგადოებრივი სისტემა, რომელიც ასეთ პრინციპებს ემყარება; პოლიტიკური მიმართულება; საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაცია, რომელშიც წარმოების საშუალებები საზოგადოებრივ საკუთრებაშია.</p>

ა.	ბ.	გ.
3	2	1

ნომერი 4.

რა იდეას გამოხატავს მოცემული პლაკატი?



(სწორი პასუხის ნომერი: აზრის, სინდისის და რელიგიის თავისუფლება ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით არის აღიარებული)

ნომერი 5.

ტექსტის რედაქტირება.

ჰოლოკოსტის სახელით ცნობილია მეორე მსოფლიო ომის პერიოდში გერმანიის ფაშისტური ხელისუფლების და მისი მოკავშირეების მიერ განხორციელებული ებრაელების და სხვა უმცირესობების მასიური კოლონიზაცია. განადგურებული იქნა 6 მილიონზე მეტი ებრაელი.

არის	უნდა იყოს
ფაშისტური	ნაცისტური
კოლონიზაცია	გენოციდი